6 აპრილი, 1908 წ

ფასი ყველგან 10

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 25

პირველი აპრილიდან წლის დამლევამდე ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ ღირს ოთხი მანეთი.

ვინც მთელი წლის ხუთ მანეთს გადაიხდის, ამ წლის ნომრებს გარდა გაეგზავნება გასული წლის ყველა ნომრები.

**შავი ზღვის პირის საავათმყოფოებში.**



**ექიმი.** პირველს საფაღარათო, მეორეს სასაქმებელი, მესამეს საფაღარათო, მეოთხეს სასაქმებელი,..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერცხლის სიმღერა.

მერცხალო კუდმაკრატელა,
მოჭიკჭიკე მონავარდე!
შესდექ წამს და ტკბილი რამე
მიგალობე, თუ გიყვარდე!
მრავალი მთა, ბევრი ბარი
კიდით-კიდე მოგივლია,
ნანახი და გაგონილი
მომიყევ, რაც შეგიძლია!
„ჟღურტ, ჟღურტ, ჟღურტო“, მომაძახა:
„მისმინეო' არ გამკიცხო,
მხოლოდ სანამ გიგალობდე
ერთი რამე უნდა გკითხო:
ბუნებისა მეფედ გ'ცნობენ,
ქვეყანა შენს ქებას ამბობს,
შენი გვარიც ამ ქებითა
მედიდურობს და ამაყობს.
მაგრამ მიკვირს, თუ თავისთავს
ხშირათ ღმერთსაც კი ადარებთ,
ამას რატომ არ თაკილობთ,
მონის უღელს რომ ატარებთ?!
ცივ ქვეყნისკენ გავეშურე,
თუ ცხელ მხარეს ვიყავ ოდეს,
არ მინახავს, კაცს რომ კაცი
მბრძანებელათ არ ჰყოლოდეს.
ჩვენ კი ვფრინავთ ცის არეში
თავისუფლათ, თავის ნება
და ამიტომ მხიარულმა
არ გიმღერო, არ იქნება!
„ეს ქვეყანა საბრძანებლათ
„განგებამ კაცს დაუწესა,
„მაგრამ თავის სავალალოთ
„მან ზედ ღვარძლი მოითესა.
„ძმამ თვისი ძმა დაიჯაბნა,
„თითქოს გახდა გმირთა გმირი,
„მაგრამ ამით შექმნა იმან
„თავისივე გასაჭირი.
„თუ ის ძმაზე გაბატონდა,
„მასზე ძალა სხვამ იჩინა
„და ყმა-მონის მოტრფიალემ
„მბრძანებელი გაიჩინა,
„ეს ქვეყანა გადაიქცა
„ასპარეზათ ცხარე ომის
„და ცხოვრება დატრიალდა
„სამარცხვინო კაცთა ტომის.
„ჩვენ კი ვფრინავთ ცის არეში
„თავისუფლათ თავის ნება
„და მიტომაც ჩვენი ლხენა
„ცას და ხმელეთს იამება!..“
ესა სთქვა და გაქ-ნა
გაიქნია ფრთა და კუდი,
და მის მიერ ნაამბობის
სიმართლეში მყის დავრწმუნდი...

**ნ. ზომლეთელი.**




## „დურმიშხანული“ მეთოდი
ანუ
## თეორია „გადაფურჩულებისა“.

ბატონებო! პირველ ყოვლისა საჭიროთ ვსცნობ მოგახსენოთ, რომ დღევანდელი ხანა, კულტურულ განვითარების ხანაა. ის „შავი“ დღეები, რომლებსაც ასე სამართლიანათ ჰკიცხავენ რეაქციისა და ფედერაციის გმირები, ანუ „ერთობის‘‘ დღეები უკვე წარსულს ჩაბარდა და ცხოვრების წინა პოზიციაზე ,,კულტურული შრომა‘‘ წამოდგა. ამის უტყუარი მაჩვენებელია სხვა და სხვა ქალაქებში სახალხო უნივერსიტეტების დაარსება და აგრეთვე დაარსების სურვილი; ამასვე მოწმობენ გახშირებული ლექციები ჩვენი სახელოვანი ლექტორებისა და აი ამისათვის განვიზრახეთ ჩვენც დრო გამოშვებით ,,საეშმაკო“ ლექციების კითხვა. დიახ, ჩვენი მიზანია შეძლებისამებრ გავარკვიოთ ცხოვრებისაგან წამოყენებული ესა თუ ის საჭირბოროტო საკითხი.

დღევანდელი მუსაიფის საგნათ დავისახეთ ჩვენს ცხოვრებაში ღრმათ ფესვებ გადგმული და მწერლობაში ივ. გომართელის მიერ დასურათხატებული „დურმიშხნული“ მეთოდი ანუ თეორია ,,გადაფურჩულებისა‘‘.

ბატონებო! იყო დრო და მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია, როცა ჩვენი კეთილ-შობილ-რაინდი წოდება, როცა ჩვენი სამშობლოს დურმიშხანები, წელში ოთხათ მოკეცილნი გლეხის კოხთან მიმდგარიყვენ, კარებს მოკრძალებით უკაკუნებდენ და არაქათ გამოცლილნი თავის გუშინდელ ყმებს ძმობა-ერთობას ეფიცებოდენ.

დიახ, ეფიცებოდენ, ბატონებო და რადგანაც ძლიერებას სულგრძელობაც მუდამ თან დასდევს, ხალხი თითქმის უჯეროდა დურმიშხანების ფიცსა და „ბოლოს‘‘ არ უსინჯავდა, თუმცა ნაქურდალ, ცბიერ ერთგულობის ფიცს მაშინაც კარგათ უჩანდა ღალატის ბოლო.

ეს იყო, ბატონებო, ის ,,შავი ‘დრო, როდესაც ჭეშმარიტ ქართველობას (იგულისხმე თავადაზნაურობა და ფედერალისტები) საქართველოში აღარ ედგომებოდა, ე. ი. როცა ხალხი ,,უკულ-

მართ'' გზაზე იდგა და ძველი ქერქიდან გამოძრომას ლამობდა. ეს იყო ,,ერთობის'' დღეები.

მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია! ჩარხი ცხოვრებისა ისევ ,,წაღმა'' ანუ ძველებურათ დაბრუნდა და წელში მოკეცილი დურმიშხანი სწრაფლ გაიმართა, ფაფარი შეირეკა. ჩქარა სამშობლოს ჰორიზონტზე ზუბრთა ,,საამური'' ხმა გადმოიჭრა და ჩვენი ზუბრიკებიც საერთო კონცერტში აიყოლია.

გაღვიძებულმა და ,,ახალი'' ცხოვრებისათვის გამოსულმა დურმიშხანებმა განიზრახეს ,,სამშობლო'' ქვეყნის სრულიად განწმენდა ,,მავნე'' და ,,არა საიმედო'' პირთაგან. აქედან იწყება ჩვენში ,,დურმიშხანული'' მეთოდის ხმარება და თუ რა ნაყოფი გამოიღო მან, ან თუ რა სამსახური გაუწია ,,სამშობლოს'', ეს ეკითხოს ჩვენი ქვეყნის ციხე-საპყრობილეებს და აგრეთვე ჩრდილო გუბერნიებს.

მოგეხსენებათ ბატონებო, თუ რა ,,საშინელი'' კვალი დასტოვა ჩვენს ქვეყანაში ,,შეჩვენებულმა'' ერთობამ. ჭეშმარიტსა და წმინდა სისხლიან ქართველობას, ე. ი. ქართველ თავად-აზნაურობას მამულის ლალა შეუმცირა; ქართული სამოთხის წარმომადგენელთ, ანუ ქართველ სამღვდელოებას დრამა მოუსპო, არჩივები და საკურთხები აუკრძალა; ნაციონალურ მრეწველებს მუშები გადაურია და სამუშაო დღე შეუმცირა ქირის მომატებით; ქართველ ვაჭრებს ნოქრები აუჯანყა; „ადგილობრივ" სოციალისტთა პარტიას, პირბადე ახადა და შერცხვენილ სახეზე მური მოსცხო და სხვ. მრავალი ამგვარები.

და აი ბატონებო ,,დურმიშხანული'' მეთოდი, ანუ გადაფურჩულების თეორია საუკეთესო საშვალება დარჩა ყველა ამ ,,უკულმართობასთან'' ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის დურმიშხანები აითვალწუნებენ რა რომელიმე ,,მავნე'' პირს, მიდიან იქ, სადაც ჯერ არს და ორი სიტყვის გადაფურჩულებით ,,საქმეს აკეთებენ''. ეს საშვალება რამდენათაც უკანტროლო, იმდენათვე უებარია და დიდი გასავალი აქვს. მას ერთგვარი თავდავიწყებით მისდევენ, როგორც ჩვენი ქვეყნის ზუბრები, აგრეთვე მსუქანი ვაჭრები, ოქროს ტომრიანი კაპიტალისტები, ,,ჭეშმარიტ ქართული'' აღმზრდელნი, სულიერი მამანი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე ,,დურმიშხანულ'' მეთოდს დიდის მოხერხებით ეწევა ჩვენი ფედერალისტების მოწინავე მომქმედი რაზმი, რითაც ,,წმინდის გულით'' სამშობლოს შინაურ მტერთაგან გაწმენდას ცდილობენ.

**ლექტორი.**



## გაზაფხული.

ფრთებ გაშლილო, მონავარდევ
და კეკლუცო, გაზაფხულო,
ჩემის გულის სასოებავ
და იმედათ დასახულო;
ამდენი ხნის მოლოდინში
უშენობით გული კვდება,
ბუნება სდუმს, ფერ მიხდილი
და სიცოცხლე მინელდება.
სიცოცხლეში საოცნებოთ
მხოლოთ ერთხელ დანახულო...
კვლავ მოფრინდი, კვლარ გვაცოცხლე,
ჩვენო ტურფა გაზაფხულო!..
კერპთ სამყარომ შენთან ყოფნა
ალერსი არ დამაცალა,
დაგვთიშა და მეისვე თვისი
გაამეფა ბნელი ძალა.
და მას შემდეგ ვეღარ ვუცქერ
ტურფათ გაშლილ მინდორ ტყე, ველს,
ვეღარ ვისმენ ჩიტთ ჟრიამულს,
ბულბულთ სტვენას დამატკბობელს.
და შევნატრი-თავისუფლათ
შენის ცქერით ვინც დამტკბარა,
ვინაც იგრძნო ძალა შენი
სამუდამოთ შეგიყვარა.
ბნელოში ვარ, სანატრელო,
შავი ძალა წინ მიდგება...
გული მაინც შენსკენ ილტვის,
კვლავ შენს ნახვას ელოდება.
კვლავ მოფრინდი, კვლავ გვაცოცხლე,
ჩვენო ტურფა, გაზაფხულო,
სიცოცხლეში საოცნებოთ,
მხოლოთ ერთხელ დანახულო!..

ბ. გელა.

## მოხსენება.

ქუთაისის რევიზიის

(გაგრძელება).

მასწავლებლები შიმშილს განიცდიან. ჩვენი ქალაქის გამგეობა, (განსაკუთრებით კი ფოთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ ფანცხავა) ქალაქის სკოლების მასწავლებლებზე ძლიერ გამწყრალია.

ოცი მარტი კაი ხანია გათავდა და დღესასწაულებიც კარზეა მომდგარი, ხოლო მათ ჯამაგირებს ჯერაც არ აძლევენ. თვითონ „ჩლენებმა" და კანცელარიაში მოსამსახურეებმაც თავიანთი თავი კაი ხანია დაიკმაყოფილეს; მარტის ჯამაგირებიც მიიღეს

და სააღდგომოთ აპრილის ხვედრ ქანქარსაც გაიკ-რავენ გვერდზე.

ჯამაგირს ვინ დაეძებს, ნეტავი ბუხგალტერი თუთბერიძე და მოლარე ფურცელაძე*) არ მიგვი-იმასქნიდენ ყოველ დღე უპრავაში მოსიარულე მა-სწავლებლებს. ვიცოდეთ მაინც ასეთი რა ცოდვა ჩა-იდინეს მასწავლებლებმა?

**გაჭრები იბრძვიან.** ახალთაობის დროებითი და-მარცხება ესფერებს გარდა მათმა ყოფილმა ლაშქა-რმა—ქუთათურმა ვაჭრებმაც იგრძნეს და შეუდგენ ძველი ანგარიშების გასწორებას. რევოლიუციონურ ხანაში წანაგებს დღეს იბრუნებენ. პირველ ყოვ-ლისა თავიდან მოი კილეს მათთვის „მავნე“ ნოქრე-ბი. ეს ხომ დღეს საერთოთ ყველგან და ქუთაისში განსაკუთრებით ძაან ადვილი საქმეა. „დურმიშხა-ნის“ მეთოდი-ჩაუჩურჩულე ვისაც ჯერ არს და მორ-ჩა.

გარდა ამისა სამუშაო დღეც გააგრძელეს ორი საათით. წინათ მაღაზიები 8 საათიდან ექვსამდე იყო ღია, ახლა კი შვიდიდან შვიდამდეა. ვნახოთ აწი რას მოიმოქმედებენ.

**ს. დ. წინააღმდეგ ახალი წიგნი იწერება.** ეს-ფერთა ყოფილ არმიას, ნოქრებთან ბრძოლაში, არა-ფრით არ ჩამოუვარდება ყოფილი ს. დ. ვაჭარი ნო-რაკიძე. აშკარა ბრძოლის დროშა პირველათ მანააფრიალა. დაითხოვა ნოქარი, რადგან უკანასკნე-ლმა ვერ შესძლო იმ ველურ პირობებზე დათანხმე-ბა, რომელიც აღამ წარუდგინა.

კვირა დღეობით ჯერჯერობით სხვა ვაჭრებს მაღაზიები დაკეტილი აქვთ. ის კი სხვებს არ უყუ-რებს და იმდენათ აღებს დარაბებს, რომ შიგ კაცი შეეტიოს.

ამგვარი მისი საქციელი არ მოუწონეს მისმა ყოფილმა ამხანაგებმა. უფალი ნორაკიძე გაჯავრე-ბულა და დამუქრებია ესდეკებს: დამაცადეთ თქვენ წინააღმდეგ იმ სისხო წიგნს დავწერ, რომ აკობიასა და სილოვანის ნაწერები არაფრათ გამოჩნდესო. ღმე-რთმა ქნას, რომ ჩვენ თხას მგელი დაეჭიროს.

**ქუთაისს განსაცდელი მოელის.** თუ ვინცობაა რუსებსა და თათრებ შორის ომი დაიწყო, შენი მტერია ქუთაისი დაიღუპოს აქაურ აფთიაქების ფა-რმაცევტები ომში წასვლას აპირებენ და კიდეც ჩა-ეწერენ უკვე „სანიტარულ ოტრიადში“. ქუთაისი ერთ მშვენიერ დღეს უფარმაცევტოთ დარჩება.

**გაიმართოს თუ არა საღამო?** ამ ბოლო დროს ძლიერ გამწვავდა დამოკიდულება აქაურ გიმნაზიე-ლებ შორის. ამის მიზეზი საღამოს გამართვის საკი-თხია. ერთნი ამტკიცებენ „ვეჩერის“ აუცილებლო-ბას და ბარიშნების მოწვევას· მეორენი პრინ-ციპიალურათ წინააღმდეგნი არიან ერთისაც და მეო-რისაც. რითი გათავდება ბრძოლა არ ვიცი. აუცი-ლებლათ შეგატყობინებ ვინ გაიმარჯვებს. თუ შენც ნებას მომცემ ერთი კარგათ ვუცხუნებ მათრახს ამ მამა ცხონებულებს.*)

*) იაკოფის კუდებია.

**ხოლმსებს უკან აბრუნებენ.** ინგლისიდან და გერმანიიდან გამოწერილი შერლოკ ხოლმსები უკან დააბრუნეს, რადგან ისინი აქაურ „ლიუბიტე-ლებთან“ შედარებით არა რა ალმოჩდენ. ყოველ დღე თურმე აუარებელი უსახელო წერილი მისდით· ერთი კაცი, სპეციალურათ ამ საქმეზე დანიშნული, ვერ ადის მათ გარჩევას და გადაუწყვეტიათ ისევ ათი წერილიდან მხოლოდ ერთი გადაათვალიერონ!

**შავი ქვის საბჭო პეტერბურგში გადააქვთ.** რო-გორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო პეტერბურგში გა-დააქვთ, რადგან ეს გიორგის მოუსურვებია.

ის ამგვარი ულტიმატუმების წამოყენებას აპირებს 28 აპრილის სიეზდზე: „ან საბჭო პეტერბურგში გა-დავიტანოთ, ან მე თავმჯდომარეობას თავს ვანებე-ბო. სიეზდის წევრები გიორგის წასვლას, რასაკვი-რველია, არ ინებებენ და საბჭოს პეტერბურგში გა-დატანას ამჯობინებენ.

**სხვა ამბები.** 1. ფოტოგრაფები „ეშმაკის მათ-რახს“ ბოიკოტის გამოცხადებას უპირებენ, რადგან არც ერთი ბობოლა შიშით სურათს აღარ იღებს.

2. ქალაქის აფთიაქში თხოულობენ სპერმაკუ-დინს.

3. პოლიციაში ყველა ქუთათელი კოჭლები დაიბარეს

4· ს. ქვარიანმა ადგილობრივ თეატრში ლექ-ციები წაიკითხა საქართველოს კულტურაზე. თვა-ლსაჩინოთ დაამტკიცა პატივცემულმა ავტორმა, რომ ძველათ ჩვენი კულტურა სხვა ერების კულტურა-ზე გაცილებით მაღლა მდგარა.

5. მოწაფეები არ ცხრებიან, ეხლახან სასული-ერო-სასწავლებელი „იბრძვის“ რამოდენჯერმე და-ცალეს პეტარდა. ფანჯრები ჩაამტვრიეს. შედეგათ 2 აპრილამდე სასწავლებლის დახურვა მოყვა.

**რევიზორი—ეშმაკი.**

*) Быть по сему! ეშმაკი.





## მესტვირული.

**1**

(ბათუმისათვის)

მიულილინოთ, ქამანჩავ,
ბათუმის დუხჭირ წესებსა,
თორემ ხომ ხედავ-მოაკლდა
მათრახი ჩვეულ ბეჭებსა.
მართლა, დუმილსა ესოდენს
აბა ვინ მოგიწონებსა,
თუმცა არც შენი ბრალია
რომ გწერენ საყვედურებსა.
მაშ დავკრათ დავალილინოთ,
შევამკოთ ჩვენი გმირები,
მათრახის კუდით მრავალჯერ
ცხუნებულ-ანაყვირები.
ჩვენზე უძლური სიბრაზით
ყელამდინ გაბერილები,
„გმირული“ საქმით ტვირთულნი,
კუდინით დანაკლურები.
ნელის ლილინით ვესტუმროთ
ქალაქის მესვეურებსა,
მაღალ ფრაზებით ეს ვაჟნი
გამოგიჭედენ ყურებსა.
ტყუიან ნუ დაუჯერებთ
ტკბილ-ტკბილათ მოლაქუცებსა,
ოთხკეცსა ტყავსა აძრობენ
თვითმართველობის მუშებსა.
ვინც ბლომათ იღებს, იმათ კი
მოუმატებენ ფულებსა,
მუშების მცირე ჯამაგირს
სახელოვანათ უკლესა.
თითონ უყრიან ათასებს
თავის უკუჭო მუცლებსა...
ნუ დავიშურებთ მაგათთვის
იარაღს შესახურებსა...
საურთიერთო ბანკისაც
დაუღილინოთ საქმესა,
საქმენი ესე ხელთ ეპყრა
დიდ პატრიოტთა თავებსა.
არ აკარებდენ აროდეს
სხვა ვინმეს ბანკის კარებსა,
მამულისათვის იღწოდენ,
ირგვლივ მოუსხდენ ქანქრებსა.
„კუჭისტთა“ ლანძღვა-გმობაში
მრავალი ოფლი ღვარესა,
და სასყიდელათ ამისთვის
ბანკის ქანქარი ყლაპესა.
თავის „უკუჭო“ სტომაქში
ათასობითა ჰყარესა
და ამნაირათ ბანკი ეს
სამშობლოს ანაცვალესა!..
შენ შეინახე, მამულო
შენს წიაღს მიაბარესა,
შენს სადიდებლათ საწყალი
შენს სამსხვერპლოზე დაკლესა...
მარა შენ რა შუაში ხარ!
ტყუილათ შენსა სახელსა
ეტუზებიან, რომ ამით
ტკბილათ შეექცენ სათლელსა.
მაშ მოეკითხოს მას ცოდვა
გრიშა, პედაღოღს თფილელსა,
და სხვა „უკუჭოთ“ სამშობლოს
„უჭეშმარიტეს“ შვილებსა.

**კენტი.**

**2**

კიდევ სიმღერას დავიწყებ,
მოვყვები კრიმანჭულითა!
მსმენელთა სიამოვნებას
ვცდილობ სულით და გულითა!
ბუნებრივ უცილებლობით
მე ამ ხელობას ვეწევი,
თან ხელში სტვირიც მიჭირავს
ცხოვრების ნაანდერძევი!
მაშ ასე, გუდას გავბერავ!
(„სიცრუის გუდას“ კი არა),

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გითხრათ მხოლოდ სიმართლე,
გულის წყლული და იარა...

—

ვიცით, რომ ცვალებადია
წუთისოფელი ტიალი,
ცნობილიც უკუღმართობით
ცხოვრების ჩარხის ტრიალი...

ბევრჯელ მინახავს ვაჟკაცი
ოცნებით გატაცებული,
ცხოვრების ზღვას რომ შეიჭრა
მხარ მკლავებ მომარჯვებული.

მაგრამ მოყიჭრდა წყლის კვეთა,
მოდუნდა ზვირთთან ბრძოლაში,
და ჰპოვა მეტი სიამე
ზღვის პირად ჯდომა-წოლაში.

მუნ იყო შლამი და ტლოპო,
რბილი რამ „საკოტრიალო“!
ეჰ წუთისოფლის ცხოვრებავ,
რა ზნე გჭირს ოხერ-ტიალო!

—

სხვაცა მინახავს ვაჟკაცი
წინ, მედგრათ, გამალებული
სატრფოს საძებრათ ვიდოდა
ტრფობის ცეცხლ-შემოგზნებული.

გზად გადეყარა რამ წალკოტს
მდიდრულათ მორთულ კოშკითა,
შიგ იჯდა „მზეთ უნახავი“
ზღაპრული ოქროს ქოშითა,

სთქვა: თუმც ეს სატრფო არ არის,
არ უშავს მაინც ქალათა!
თავი ანება „თვის მიზანს“
და კოშკში მოიკალათა...

—

კვლავაც მინახავს ჭაბუკი!
განა ერთი და ორია?
ჩვენს ცხოვრებაში ისინი
არც ისე შორი-შორია!

ჯერ „გმირნი“, კვალად „მონები“
უქანქარობის შიშისა,
უკან მჩოჩავი მებრძოლნი
„ფაროსანთ“ მოდგმა-ჯიშისა...

—

მე ისევ ისე ვიმღერებ,
განვაგრძობ კრიმანჭულითა,
თუმც სად მაქვს ძალა, ცხოვრება
დავასურათო სრულათა.

ერთს რამ მაგალითს კვლავ ვიტყვი,
იგავათ გამიგონია,
ცხოვრების სინამდვილეშიც
ბევრისგან მონაწონია.

—

ამ ქვეყნად ვიღაც ცოდვილი
(მგონი, ყრმა, მგონი მხცოვანი)
ვიდოდა მხარზე ეკიდა
ხურჯინი ორ პიროვანი.

წინა პირიდან ჩასთვლიდა
გარეშე ცოდვა-ძრახვასა,
და უკანით კი—თავისსა
სიავე—„გულის ზრახვასა“.

მეტის შრომითა ხურჯინი
წინიდან იბერებოდა
და ზურგს უკანით კი იგი
კვლავ ცალიერი რჩებოდა.

ვიდოდა იგი, უკვირდა
თავისი საქმე ძნელია,
თუმცა-და მსგავსი მოვლენა
ამ დროშიც საცინელია!.

აწ კი სიმღერას შევწყვეტავ,
რომ შევასვენო სტვირი მე
და გთხოვ, არ გამინაწყენდე,
მსმენელო, შენი ჭირიმე!

ნ. ზომლეთელი.



## გ ა ე შ მ ა კ ე ბ ა.

დიდ-ხანს ვიარე ჩემი ნამდვილი სახით. სად არ ვიყავი, რამდენ ჩაკეტილ კრებებს არ მივადექი,—ხან სხვადასხვა სექციებში, ხან ქალების საფონდო კრებაზე, ზოგჯერ კერძო ოჯახშიც შევიჭიტინე, წვრილ პედაგოგთა ბანაკშიც კი მოვინდომე შეძრომა, მარა ბლიკვაძეობამ ის მიყო, რომ ყველგან ექსორია მიყვეს. ამიტომაც ამ ბოლო დროს ეშმაკათ ქცევა ვარჩიე*). დიდი პროტექციით მოვახერხე და წარვდექი აუდიენციაზე იქ, სადაც ტარტაროზნი ტარტაროზობენ და ეშმაკნი ეშმაკობენ, ე. ი. ბელზებელის წინაშე. თუ რეკამენდაციის, თუ კერძო ნაცნობების შემწეობით (იქ ნაცნობები, დვდლები და ბერ-მონაზნები აღმომიჩნდენ). ბელზებელმა უსამონასტრისფულოთ, მცირე ეშმაკათ—მორჩილათ, ე. ი. ურქო ეშმაკათ მაკურთხა და შესაფერი ფირმანიც მიბოძა. ამგვარათ ხელდასმულს გარდაქმნა-გარდმოქნის ძალა მომეცა. მირავიდე თილისმური შეძლება ესე, უცებ შევისხი ფრთები და კუდ გაბზიკინებული ფრენით მეისვე დავეშვი დედა მიწაზე.

გამეგონა რომ გაეშმაკება კაი საქონელიაო და არ ვიცოდი, თუ ამდენ ნაირათ იყო გამოსადეგი. გარდა იმისა, რომ რკინის გზით მოგზაურობის დროს შეგიძლია უჩინრათ იქცე და აიმასქნილებული კონდუქტორების მუჯლუგუნები აიცილო, ათასგვარი შედავათებით

*) Лучше поздно, чѣмъ никогда. ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობ,—უთვალავ სასწაულებს ახდენ: შეგიძლია ისე დაპატარავდე, რომ ნემსის ყურწში გაძვრე; რამდენ ოთახში, რამდენ ოჯახში, რამდენ მიუვალ ადგილებში და კუთხე-კუნჭულებში შეიძლება შეძრომა და იქაურობის გამოქექ-გამობერტყა. მარა ყველაზე უფრო საკვირველი რამეები დახურულ წერილებში გაძრომ-გამოძრომაში აღმოვაჩინე. სამყაროდან დედამიწაზე დაშვების შემდეგ, როცა დაღლილობას თავი დავახწიე, ფოშტის კანტორისაკენ წარმოვექანე, მივიხედ-მოვიხედე და დასარიგებლათ მომზადებულ წერილების გროვას დავასკუპდი. შევაჩხიკინე თავი და ერთ წერილში შევძვერი, იქიდან მეორეში გადავძვერი, შემდეგ მესამეში და ასე ძრომა-ძრომით მოვიარე რამდენიმე წერილი, რომელთა შინაარსს აქვე მოვიყვან:

### წერილი პირველი.

Душка моя! როგორ ხარ? რაღა კითხვა უნდა, რომ კარგად იქნები. საკვირველია იმ საღამოს, როგორ არ მოგვასწრეს და გადავრჩით. გაქცევის დროს, რომ ფეხი გავკარი ის სამოვარი, მგონია, არ გატეხილა. შენი ცხვირსახოცი გამომყვა, რომელსაც უბით ვატარებ, როგორც წმინდა ნაწილს. ჩვენი კლასები დახურეს. შენი ეგზამენები როდის იქნება, ან როდის აძლევ სანიმუშო ბაკვეთილს?

გწერს ის, ვინც თავს განაცვალებს.

### წერილი მეორე.

Дуракъ ты такой! მიორეჯელ არ გაბედო ამფერი წიგნის მოწერა, თვარა პაპაშას ვეტყვი და როვარც იი კი ვიცი, რომ ორჯელ ორი ხუთია, ისე გაგლახავს. მე იმიზა კარამილია მოწმობები, რომ შენისანებმა პრედლაჟენიები მიქნან. Вотъ ещо! не потому получила я два мѣдалья.

მარუსია.

### წერილი მესამე.

სეხნიაჯან! რაკი ჩვენი კლასი დაკეტეს, აბა ბიჭო, დღეს ერთი „ნოვი სვეტში“ ჩვენებურ:თ გადავკრათ. არღანი იგივე ვიყოლიოთ, ადრე რომ გვყავდა. რა კარგია ერთი ახლა ბახტაძის ბაღში „ტრია, ტრია, არღანო“ და ფაიტონით კახაბერში ჩაქროლება. ფულები!? ძმა ბიჭებმა იციან, რაღა.

ვანიჩკა.

### წერილი მეოთხე.

Мой милый! მართალია ჩემმა ქმარმა ყოველივე გაიგო, რაც ჩვენ შორის მოხდა და კიდევაც მიმაყანყლალა, მარა მე მაინც ვერ შეგიძულებ. ის მე არას დროს არ მყვარებია, никогда! და არც მეყვარება, სადმე, თავადის ქალი და სად ჩემი გაუთლელი, არ თავადი, ჩემი ქმარი. თვალის ასახვევად ისე ვექცევი, ვითომც მიყვარდეს, მარა მე შენს თავს ვერაფერი მომაშორებს. მართალია შვილიც მყავს, მარა იმას ადვილათ მოვშორდები და შენ ვერა, როდის დავტოვო ის ბაიყუში მომწერე.

შენი... შენი... შენი... კი იცი ვინც.

### წერილი მეხუთე.

სანდროჯან! აქ ბანკში ადგილი არ არის, მარა შენთვის გავჭედთ, მხოლოთ როგორმე მოახერხე და ესდეკებზე რამე ჭორები შეხანხლე. თბილი ადგილის საშოვნელი რეცეპტი იმათი ლანძღვა-გინებაა. ას მანეთიანი ადგილი გამოგიგორდება. შეიძლება შენს გარდა მაქ კიდევ იყოს ამგვარი ვინმე, ურჩიე ჩვენი რეცეპტით იაქიმოს.

ზაალი.

### წერილი მეექვსე.

დავით დავითიჩ! საპროტესტოთ გადაცემული ვექსილები საუბედუროთ პატრონებმა გამოიყიდეს. ასე რომ ამგვარი ვექსილების შეძენა ახლა აქ შეუძლებელი შეიქნა. ეცადეთ,—თქვენებურათ, ისევ სოფლებში, იქ გასანაღდებელი ვექსილები ოხრის ფასათ იშოვება,—მანეთი—10 კაპეიკათ. გურული მემამულის ვექსილი უფრო ხელსაყრელია, თუ რომ პატრონმა ყურშუმი არ გიძღვნა მუცელში.

შენი ანტონ.

### წერილი მეშვიდე.

ძმაო არშაკ! გავიგე რომ სადედაშვილო ლექციებს კითხულობ. საქმე კარგია და პატიოსანი თუ უცნობ ალაგას არ წაატეხე თითი. მარა რაც შეგეძლოს ეცადე ქართველ დედებს,—ხვეწნა-მუდარით და ვედრებით, ისე, შენებრ, კილოთი, დაუსაბუთე რომ სველსა და გაუწმენდელ ჩვრებში ბოვშის ჩაწვენა ცუდია. არამც და არამც ქართველი ბავში რუსულ აკვანში არ დააწვინონ, ვინაიდან ეს გადაგვარების მომასწავებელი ნიშანია.

შენი როსტევანი.

### წერილი მერვე.

ძმანო და მამანო ქართველნო! ყურად იღეთ ვედრება ჩემი. ცოდვილმა ჩემმა ყურმა ისმინა ამბავი შემაძრწუნებელი ფრიად, რომ ქართულსა სკოლასა შინა ბათუმისასა შემოღებულ იქმნა სახელმძღვანელო ქართულისა ენისა არა ჩემი, ე. ი. სხვისი. ამიტომ აღიმაღლენით ხმანი თქვენი, ვინაიდან ქცევითა ამგვარითა ჯანჯარსა ჩემსა ჩამოაკლდების კირმანეული მრავალი.

იაკობი.

ზადავძვერი ერთი მსუქანი ვაჭრის წერილში და დამტარებელმა სხვა წერილებთან ერთად ეს წერილიც აიღო დანიშნულებისამებრ ჩასაბარებლათ. რაც იმ წერილში ვნახე და რაც ამით შემემთხვა, ამის შემდეგში მოგახსენებ.

ბლიკვაძე.



### შენი ჭირიმე ეშმაკო.

შენი ჭირიმე ეშმაკო სათხოვარი გვაქვს შენთანა
შენი მათრახის სიმწვავე ცნობილი არის ყველგანა,
ერთ მათრახს ჩვენაც გიგზავნით გთხოვთ ძღვნად მიიღოთ
ჩვენგანა
რო მოიქნიო ორივე და გაგვიწმინდო ქვეყანა.
გაჭკარი ნაძირალებსა, ვინც ქვეყნის საქმეს დალატობს
ვინც სხვისა ოფლით სუქდება, ვინც მოძმეს ჭყიდას,
მოძმეს მტრობს,

ვინც სვინდისს—ნამუსს კაცისას ფეხქვეშა სთელავს ურცხვად ჭკმობს
და ყველა ამის ჩამდენი ბოლოს კიდევაც ამაყობს.

გაჰკარ იმათაც, ვინც კაცის პიროვნებასა ბღალავენ
ცრუ კრიტიკოსებს, რომელნიც ტყვილათ თავს დაიღალავენ
რომელნიც თეთრ კბილს აჩენენ, შავ გულს ერთგულათ მალავენ
სიცრუის გუდას მოხსნიან, განუკითხავარ ხარჯავენ.

მოსცხე სუყველას, ვინც ცდილობს ჩარხის უკუღმა ტრიალსა
ვინც იწვევს უთანხმოებას, უმუშავრობას ტიალსა,
ვინც აწვდენს ტანჯულ წამებულს შხამით აღსავსე ფიალსა
მოსცხე სუყველა ზარმაცებს ნუ დასდევ იმათ ღრიალსა.

ყველას გადაჰკარ მათრახი, ზურგისა კანის მწველია
ჩვენ ვიცით ვისაც გაეკრა არავინ დარჩა მთელია,
ეხლაც ავადობს, ისუსტებს მისი მორჩენა ძნელია
მომავალშიაც, გენაცვა არ აარიდო ხელია.

**ცხო-მთიული.**



მეგობრები.

## მიწერ-მოწერის ბარათები.

### დიდიმი გოთუასადმი.

საყვარელო რედაქტორო!
ლალიძისა წყალის სწორო,
ბულვარზედა უტურფესო
თომა-პუსის უკეთესო.
მოგეწერა, ქება ჩემი
და შეუსძარი ეს ედემი,
წავუკითხე თითქმის ყველას
გულის სატრფოს და პეპელას.
ძმაო, თუ დრო მექნა, ზოგჯერ
,,დურმიშხანულ‘‘ წერილს მოგწერ
მაგრამ გთხოვ, არ შემითხელო,
Да здравствуетъ საქართველო!!!

### გოთუა დიდიმისადმი.

წავიკითხე დიდიმ, ძმაო,
ჩემო ტურფა სანახავო,
შენი ტკბილი მონაწერი,
და დავბეჭდე ყველაფერი.
ასე ჩემო იადონო,
დროა მტრები დამილონო,
დატანჯულო საქართველო
ვინძლო ძილშიც მოიგონო.
,,დურმიშხანულს‘‘ ვინ გიწუნებს?
ასე უნდა მაგ კაცუნებს!!!
და გავიტანთ ძმაო ლელოს
გაუმარჯოს საქართველოს!!

## რ ა მ ე ც ი ნ ე ბ ა?

(პესიმისტის ჩივილი)

უძღვნი ნ. ქ.

მე კარგად ვიცი, რომ ეს ქვეყანა,
სისულელეა სხვა არაფერი
და ადამიანს თავი ბრძნათ მოაქვს,
ეს მეცანება სხვა არაფერი.
მე კარგად ვიცი ჩვენი ცხოვრება,
გარყვნილებაა სხვა არაფერი,
ის მეცინება რომ ზნეობაზე,
ხმა მაღლა ვყვირით სხვა არაფერი.
მე კარგად ვიცი, რომ სიყვარული,
თვალთ მაქცობაა სხვა არაფერი
და ყველა გრძნობას, მასკით იფარავს,
ეს მეციწება სხვა არაფერი.
ისიც კი ვიცი რომ ეს სოფელი,
წუთიერია სხვა არაფერი,
მთელი ქვეყანა ერთს სურს ხელთ იგდოს,
ეს მეცინება სხვა არაფერი.
და ისიც ვიცი ასე ცხოვრება,
საზიზღრობაა სხვა არაფერი;
ადამიანი თავს რომ არ იკლავს
მე ეს მაკვირვებს სხვა არიფერი;

**„ჟილიატმთაშველი“ *)**

*) ჩემის აზრითაც, ამგვარი ლექსი
სისულელეა, სხვა არაფერი
და ყველას, ვინც კი ასე აზროვნებს
არ აწყენს ვგონებ მათრახის წვერი.

**ეშმაკი.**

## შავი ზღვის პირის საავათმყოფოებში!



ასე იკურნება ტვინის ანთება.

## შანტაჟისტები.

ორსულების კასიდან
გაქცეული ლოთები
ვერაზე ქეიფობენ,
წინ უწყვიათ შოთები.
ღვინით გაჟღენთილებსა
დაავიწყდათ „შრომები“,
ხრინწიანათ მღერიან
ეჯავრებათ „ნოტები“.
იცლება და იცლება,
„კახეთიის“ ბოთლები,
ქაღალდისა ფულები
იბნევა ვით ფოთლები...
და ასე უსინდისოთ,
რომ გაივსეს ქისები,
ნეტა რასა ფიქრობენ
ჩვენი შანტაჟისტები?!!

**მ. ლელაშვილი.**

## ორი კნეინა და გოგო.

(სურათი ლეჩხუმის ცხოვრებიდან).

**პირველი კნეინა:** ნეტაი იცოდე ნინიჩკა, რამდენს ვიცინი, როცა გამახსენდება ის აღარ მოსაბრუნებელი „ბოიკოტი“ და შენი წინანდელი სიტყვები: „ვერცხლის მაინც თუ არ იქნა, რავა შემიძლია კოვზი ან დანა ჩანგალი პირთან მივიტანო, მაშინვე გული ამერევაო!“

**ნინიჩკა.** ბატონო, დანა-ჩანგალი აგერ იყო, კი არავის წაუღია, მარა იმ დასაქცევ დროს კარი და აკოშკა კაცმა ვერ გააღო შიშით, ნათვთი ჩვენ ვერ ვიშოვნეთ და სანთელი და დამეში, ხელით რომ არ დამეწყო ჭამა, იმდენი ვიცოცხლე რამდენჯერ კოვზი და ჩანგალი, პირის მაგიერ ცხვირში ვიკარი!

**პირველი კნეინა.** სწორეთ საშინელი დრო იყო, საშინელება და უბედურება არ მეეშალა მის თავდაპირველათ მომგონს! ჩამაცივდნენ: „შენი მოსამსახურე გოგო შენი ათვხანიკიაო“, და ისე ვიხრაკებოდი ჩემს გულში, რომ ერთი ვერ გავბედე მეთქვა: „აფსუს! თავსხლაფი დავასხი ჩემს თავათ მის ტოლსთქვა!“ მიღდემჩი არ დამავიწყდება, აღდგომას მომესიენ ე გამწვირიანებული გლეხის ქალები და ხელების მაგიერ ლოყებზე დამიწყეს კოცნა! ფუ რათ მომესწრო ის დღე, როსტომა ფრუიძის ქეთევანამ ში კაკალ ტუჩებში მაკოცა!

**ნინიჩკა.** კოცნა კოცნაა ბატონო, და რამდენი გულის ტრიალი ჩვენ მაგენმა გაგვარონიეს, ან რაის სული გვიდგია?!! ალექსისას რომ სროლა შეიქნა, გრამიტონი ლოგინქვეშ შეწოლილი ენახა ჩემი კოწიას პატარა ბოვშს და მეორე ოთახში მეოფს მომაძახა: „ბებია! ბაბუა ლოგინ ქვეშ მომკვდარაო!“ მე მეგონა ტყვია თუ მოხვდა მართლათქვა, და უცბათ შევარდნილმა ორჯელ რომ გადავაბრუნე მერე ძლივა მითხრა: „ჯერ არა ვარ მთლათ კვდარი, ნუ გეშინიაო!“

**პირველი კნეინა.** იკურთხოს ი ყაძახების რხმალი, იმათი წყალობით ვართ ახლა მოსვენებული, თვარა მარტო ჩვენი „მოხდენილი“ მხედარი ჯუჯული ვერ გვიშველიდა, უნდა იცოდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინიჩკა.** არა ბატონო, იგენი რომ არ ყოფილიყვენ გლახათ იყო საქმე! ყაძახებს რომ შეხედეს ე აუარებელი ხალხი მიტომ გამეიქცენ გზაგვალ დაბნეული ორბელის წვერიდან, თვარა ცაგერის ციხეს უშირობდენ გატეხას თურმე! რაცხა მაშინა ქონიათ და ზოგ-ზოგს იმითი გამოურბენია ორბელის ხიდი!

**შირველი კნეინა.** ორბელის ხიდზე მაშინა კი არა, ანთიმოზა ყიფიანი ყოფილა იგენში, იმას შოურცხვეს ი აზნაურიშვილობა და ისე გამოუჭენებია ჯორი, რომ მართლა მაშინას გავდა თურმე!

**ნინიჩკა.** მოუსტრებელს რომ იტყვის კაცი, ბატონო, ის კიდამ მოგვესწრო! ივანე სალუქვაძე ხენწიფე იქნებაო, მისი ცოლი დედოფალიო, და ამან თლათ გამხეთქა გულზე!

**შირველი კნეინა.** რაო, რაო?!! ივანე სალუქვაძის ცოლი დედოფლათ იქნებაო?!!

**ნინიჩკა.** კი ბატონო, ნამდვილათ იქნებაო და იმასაც იმისანე „რეჩი“ უთქვამს „გამიტატში“, რომ შენი მოწონებული! ვაი ნეტაი დვინით არ დამხრჩვალიყო ახალწელიწადს ვახტაკი, თვარა აგერ მოვაყოლებდი შენ თვალის წინ, იმას უყურების!

**გოგო** (თავისთვის.) იმდენი თქვენმა თავმა იცოცხლოს, რამდენჯერაც ვახტაკი „გამიტატში“ ყოფილიყოს! ყალიონზე ცეცხლს აღარ ადებდა: „გამიტატმა“ არ შემხედოს სინათლეშიო, და ეგენი კი რაებს ლაპარაკობენ?!! უი, ერთი მაქ თქვენი ენის დამოკლებას მოვასწრო კიდე, და მერე თუ გინდა მეც მომკლან ი ყაძახებმა აღარ დავეძებ!..

**ნაცნობი.**



# წერილები ეშმაკისადმი.

**თფილისიდან.** ძმაო ეშმაკო! თუ დრო და გარემოება ხელს მოგცემთ ნუ დაგეზარებათ და შემოდით ერთი სალაყაიას საკანდიტეროში.

იქ მსახურობს ერთი ვინმე
ვაჟბატონი—ვერულია
ამხანაგებს განზე უდგას
ხაზეინის ერთგულია.

იქვე ნახავ დომენტისაც
ბრუნდი გზითა მიმავალსა,
კარტის თამაშს უფრო მისდევს
ვიდრე კაცობრიულ ვალსა.
თუ ძმა ხარ! ნუ დაგვამადლი
იქონიე თან მათრახი,
წაღმა-უკუღმა უცხუნე
აგრეთვე როგორც კვახი.
და გული რა შეიჯერო
(თუ გიყვარდეს ჯოჯოხეთი)
კუდინიც გადააკვრიე
თითოს ოცდა ხუთი წვეთი.
ჯერ ეს კმარა, შემდეგშიაც
ნუ მოვაკლებთ ასამწველოს,
(ეშმაკი თუ ჩვენსკენ არის
მათ ვინც სურდეს მოიშველოს).

სკურდუბის-პირელი.

—

**ჭიათურა.** ძმაო ეშმაკო! გთხოვთ ჩამოფრინდე ერთ კვირა დღე ჩვენს ჭიათურაში და ინახულო ჭიათურის მოვაჭრეები. შენი მადლიანი მათრახი ლოთიანათ უცხუნე, აგრეთვე ხაზეინების მოსარჩლე ნოქრებსაც ნუ დატოვებ უყურადღებოთ, რადგან ისინი თვითონვე ფეხ-ქვეშ თელავენ თავიანთ მოპოებულ უფლებებს. უსათუოთ ინახულე ჭიათურის თეატრი; თეატრის კასასთან შეხვდები ჭიათურის ბანკის ქანქარისტს, ცნობილ ფედერალისტს ტარუაშვილს, რომელიც განკარგულებას ახდენს, ნოქრებს არ მიყიდონ იაფ-ფასიანი ბილეთები. შენი ჭირიმე ეშმაკო, ერთი იმასაც უცხუნე შენი მათრახი და მერმე ერთი ბოთლი სპერმაკუდინიც დაალევინე ვინძლო მიხვთეს, რომ ჭიათურაში ისე მცირე სასყიდელი არავის არ ეძლევა, როგორც ჭიათურის ნოქრებს.

მეთვალყურე ნოქარი.

—

ძმაო ეშმაკ! შენებურათ
გადმოფრინდი ჭიათურში,
თან მათრახიც წამოიღე
საიდუმლოს გეტყვი ყურში.
აქ არიან სამათრახო
დარჩენილი ერთი-ორი,
ერემია კალანდაძეს
მყვლეფელთ შორის არ ყავს სწორი.
იმას კარგათ მოუხდება
ერთი ზურგის ასაწყელი,
გაუქნიე და გადაკარ
შენი მათრახისა წვერი.
იქ სერგოსაც მიულოცე
არ გამოგრჩეს ვაშაძენი,
და ვლადიმერ გაფრინდაშვილს
არ მიაკლო ხელი შენი.

ა. ქარჩხაბელი.

—

**ს. იანეთი.** ძმაო ეშმაკო! მართალია ბევრი საქმეები გაქვს, მაგრამ მოიღე მოწყალება და ერთხელ მაინც გვინახულე. ერთი ჩვენი ხუცესი თუ არ გაგვიმათრახე ყოვლად შეუძლებელია. ლამის არის სული ამოგვხადოს. ამას წინათ მამასახლისის შემწეობით შეყარა ხალხი და სასტიკათ გამოუცხა-

და, შეადგინეთ განაჩენი, რომ დიდი და პატარა ყველანი ივლით ეკლესიაში და საკურთხს და საწირავს არ მომაკლებთო. ხუცესს ეტყობა ნერვები აშლია ამ ბოლო დროს, ამისთვის საჭიროა მათრახი და „სპერმაკუდინი“ თან იქონიო რომ ჭკუაზე მოიყვანო ჩვენი ნერვებ აშლილი ხუცესი. მოგელით.

ჭუჭრუტანიდან.

—

**ხაშურიდან.**

მაპატიე, ეშმაკოჯან,
დამიგვიანდა ბარათი,
რა ხანია არ მქონია
შენთან ბჭობა-მასლაათი!..

ეხლა მინდა რომ მოგწერო
ხაშურიდან ყველაფერი
თუ აქ როგორ აირია,
ერი, ბერი მონასტერი.

ზოგი მუშები გაცხარდენ
გაზეთში რათ ჩაგვწერესო,
ან დეპოში თუ რა ხდება
ვიღაც სტუმარს აცნობესო.

ბოგაცკი და კომპანია
ბოლოტაშვილ თომაშვილი,
აკორდი და აკორდიო
იძახიან თმა გაშლილი!

აკორდშია, ძმებო, დღეს ხსნა
სხვა გზა არსით არ არიო,
ღარიბთათვის აკორდია
წამალი უებარიო!

სულელია, გაზეთებში
ვინც უბრალოთ ჩაგვწერაო,
ისეთსა საქმეს დავმართებთ
იწყევლოს ბედის წერაო!

მოიყარეს ერთად თავი
და გამართეს დიდი ბჭობა,
თვით ავტორსა წერილისას
გადუწყვიტეს ჩამოხრჩობა.

ერთხმათ იყო მიღებული
დავსაჯოთ რედაქტორიო,
კვლავ გაზეთში არ დაბეჭდოს
ჩვენზე ასეთი ჭორიო.

მაგრამ, ძმაო, არ შეშინდე
ღამე ჩუმათ ჩამოძვერი,
და უჭირე მაგ აბდალებს
თითო მათრახისა წვერი.

რიჟა.

—

**ბაქო.** ძმაო ეშმაკო! ერთი ჩამოინავარდე ბაქოსკენ, თორემ ცუდათ არის საქმე. აქაურ ხაზეინების თავგასულ მოქმედებას საზღვარი არ აქვს. ჩამოსვლისთანავე „ტრუჟენიკების“ კლუბის ბუფეტის არტელს ესტუმრე. ის ვაჟბატონები, რომელნიც შარშან განმათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში იდგენ, ეხლა ბიჭებს ეუბნებიან: „კარები ღიაა, შეგიძლიათ მიბძანდეთო“. პირველი მათრახი ეკუთვნის ხუციევს, მაგრამ იმას მხოლოდ საჭიროა მაგრათ უჭირო შენი კურთხეული მათრახი, რადგან ძალიან წაიგძელა ენა და ბიჭებს ლანძღავს. შემდეგ მის ამხანაგებსაც მისცხე. თუ მათრახმა არ გასჭრა, „სპერმაკუდინი“ იქნება საჭირო და თან იქონიე.

შენი მოსიყვარულე ფინია.

—

**თფილისი.** ძმაო ეშმაკო! ყველა შენი მადლიერია, ყველა შენს ლოცვა-კურთხევაშია შენი „სპერმაკუდინის“ გამოგონების გამო, მეტ ნაწილათ პროვინციებში. მაგრამ ეს კი ვერ არის მოსაწონი, რომ შენს საბძანებელ თფილისს ნაკლებ ყურადღებას აქცევ. კუდინის მოთხოვნილება კი აქ უფრო დიდია. ავიღოთ თუნდაც ვოგზლის ქუჩა. აგერ ორი წელიწადია რაც აქ დაარსდა ,,ნარდისტ-კარტისტთა პროფ. კავშირი.“ კავშირის ბიურო იმყოფება ბიკტორ ხუნდაძის დუქანში. გთხოვთ, ძმაო ეშმაკო, რადგან აქ ლექციები ხშირია (თუმცა კავშირი არალეგალურია). გვეწვიო მათრახით ხელში ამ ბიუროში და მერე რასაც იზამს შენი მათრახი ყაბულს ვიქნებით. იქ ნახავ ჩასუქებულ სქელ ვაჟბატონს ექვთიმეთ წოდებულს. (მათი ლექტორია). უპირველეს ყოვლისა გამათრახების რეპეტიცია მის ზურგზე უნდა გამართო. შემდეგ ბიკტორს, ნოშრევანს, ვლადიმერს (ესენი უბრალო ხელოსანი წევრები არიან) ხუთხუთჯერ მაინც გადაჰკარ შენი მათრახი. იქვე იქნება პატარა კაცუნა „ცინტლათ‘‘ წოდებული, მას ერგება არა ნაკლებ შვიდისა კუდი შენი მათრახისა. და თუ სისუსტე დაეტყოს (რადგან ძლიერ დაღლილია დღე მუშაობით და მთელი ღამე თამაშით) ერთი ,,რუმკა‘‘ ,,სპერმაკუდინი‘‘ იქვე ჩააყლაპე და თანაც ასეთი დარიგება მიეცი მათ, რომ ნაკლები ითამაშონ და მეტი დრო სხვა უფრო სასარგებლო საქმეს მოახმარონ.

ვოგზლის დარაჯი.

—

**სურამი.** ძმაო ეშმაკო, გნატრობენ,
ჩვენი სურამიც ნახეო,
აქ ბევრი მატრაბაზია
სწორეთ რომ.. სამათრახეო.

ძილი, ქეიფი, სმა-ჭამა
ჭორებზე ბჭობა-კამათი,
აი სურამელთ ცხოვრება
მათი წესი და ადათი.

თან რაღაც „ლატარიებსაც“
ხშირათ „მართავენ“ ქალები,
გამვლელ-გამომვლელს ფულს სთხოვენ,
შენც ვერსად დაემალები!

ყველა ქალს ფული აძლიო,
სად გაქვს ამდენი შეძლება!..
ფულის წილ, ალბათ ჯიბეში
„სპერმაკუდინი“ გექნება.

ნუ დაიშურებ ხუთ-ხუთ წვეთს,
სუყველას გაუზიარე,
შემდეგ კი იტრიის მღვდელთან
საჩქაროთ გადაიარე.

რაც რომ ის მეტეხელებმა
თავიდან მოიშორესა,
მას აქეთ მრევლი აქ მისცეს
მამასა ისიდორესა.

ის, როგორც სოფელ მეტეხში
აქაც მამაა სულისა,
საწყალ ხალხს სად რას გამორჩეს
მას აგონდება სულისა.

უმეცრება და შიმშილი
როცა გლეხებს ხდის ავათა,
იმათი ცოდვით ქვაც იწვის
მღვდელი კი... უკაცრავათა...

თვითონ „დოხტურის“ წამლებს სვამს,
(სხვა რამეს რწმუნობს ძვირათა),
გლეხებს კი ხატზე უთითებს
„კურატის“ შესაწირათა.

ამბობს: „ხატს მიტომ ვაჟედრებთ,
უსმენს ჩემ ენა-პირსაო,
და თუ არ დატოვეთ ნახევარს
ხარს, ხატზე შენაწირსაო;

ხატი მეორე ხარს მოგთხოვსთ
გულ-ნაკლულ შემომწყრალიო*),
რაც თქვენს ავათ-მყოფს მოგვაროს
არ იყოს ჩემი ბრალიო!!“

ხატსა სთვლის საწყლის მჩაგვრელათ,
მღვდელს რომ დავუგდოთ ყურია,
ხატი ხარს გვთხოვდეს, ხორცს სჭამდეს,
ეს სიდან სადაურია?!

მღვდელი ჭამს, ძმაო, სულ მუდამ
და ხატს-კი თვალს „ახლეჩინებს“
შორიდან ბევრიც უბღვიროს,
ლუკმას არ მოაკბეჩინებს.

შენ იცი ძმაო, ასეთ მღვდელს
დაგმობ თუ მიეფერები...
სხვა მღვდლებს... ვუყუროთ
მათზედაც, შემდეგში მოვიწერები. .

სინო.

—

**დაბა სამტრედია.** ძმაო ეშმაკო! ერთი დიდი უბედურებაა მოსალოდნელი ჩვენს დაბაში. მოგეხსენება აქედან ხონში ხშირი მისვლა-მოსვლაა და თუ გიმგზავრია დელიჟანებით, უთუოთ გეხსომება, რადგან ერთ გვერდის ძვალს მაინც ჩაიმტვრევდი. ამ ბოლო დროს დელიჟანებს მეეტლეები შეეცილენ და ამან ძლიერ გააბრაზა აქაური, ბირჟის პატრონები.

მყისვე გაფრინდენ ხონში „უპრავლიაიუჩი“ ვექილ ევგენი ქუთათელაძესთან თათბირის მოსახდენათ. სამტრედიიდან დელეგატებათ იყვნენ: ი. აბზიანიძე, გერ. მელაძე, ივ. ბოკერია, პავ. შენგელია, ივ. ღვინერია და ბართ. კოპალეიშვილი.

შეადგინეს რაც ჯერ იყო, სადაც ჯერ იყო იქ წარსადგენათ. სამტრედიის მეეტლეებს რაღაც რევოლიუციონური ორგანიზაცია შეუკრავს და ფაიტონებზე რეზინის სალტეები შემოუკრავთო. ცხადია ისინი ყველანი სოციალ-დემოკრატები არიან, რადგან ჩვენ შეგვეცილენ და ხონამდე მგზავრებს ატარებენო. ის არ შეუტანიათ თხოვნაში თუ რაზე ელაპარაკებიან მგზავრებს მეეტლეები.

რაღაც საუბედუროთ, ძმაო, არ დაუჯერეს ჩვენს მედელიჟანეებს და ჯერ კიდევ დაატარებენ რეზინიან ფაიტონებს, რის გამო ადგილობრივ აფთიაქსაც შეუმცირდა შემოსავალი.

შექოლიე.

—

**ტყიბული.** დიდი ხანია „ოკრიბა“ და განსაკუთრებით ტყიბულის მაღაროს მუშები ღვთისა და კაცისაგან კი, მოძულებულია მაგრამ ეშმაკიც თუ, აიღებდა ხელს, ეს დაუჯერებელი იყო ჩვენთვის. ეშმაკი ისეთ ქვეყნებში დადის სადაც არც ღმერთი სწამთ და არც ხატიო, გაიძახიან აქაურები და იმედი გვაქვს არ გაამართლებ მათ აზრს. შენი დახმარება აუცილებლათ საჭიროა ჩემო ეშმაკო, თუ შენ დრო არ გქონდეს ერთი შენი მათრახოსანი გამოგზავნეთ, რადგან ძლიერ ბევრია სამათრახო, სხვებს გარდა მუშებიც, განსაკუთრებით „პლოტნიკები“, ამ ვაჟბატონებს თავის (პლოტნიკების) პროფესიაში არ უნდათ ვინმე გარეშედან მოსული ან, სხვა ტომის მუშა ამუშაონ, ამ მიზნის მისაღწევათ ყოველ ღონეს ხმარობენ როგორიცა: დასმენა ხაზეინთან, ნამუშევარის ხინდჯება და სხვა.ამა

ამათ მოსარჯულებლათ მათრახი კი არა კუდინიც საჭიროა. სახელებს არ ვასახელებ აქ, მაგრამ ჩამოსვლის უმალ გადმოგცემთ სიას. გელით მოუთმენლათ.

აჯი-ბაბა.

## კატასუნა.

თვის უმსგავსო საქციელით,
ერთ ყმაწვილმა დამარწმუნა,
იგი არის „დონ-ჟუანი“,
თბილისურათ კატასუნა!

საზოგადო საქმისათვის
მითომ იბრძვის ის, მაგრამა,
მთავარ-ცნება დაკარგვია,
არეული აქვს პროგრამა.

ისჯელობის დროს, ქალებს უმზერს,
ვინც, რომ უფრო ლამაზია,
მკლავს გაუყრის, დასეირნობს,
ლმობიერი და ნაზია!

---

*) მოვიყვანთ ერთს ნამდვილ ამბავს: 1907 წ. 16 აგვისტოს, იტრიის ეკლესიაზე ზემო ხ:ენებულმა მღვდელმა გლეხებს: დიმიტრი ქურდაძეს და მის ძმას ნიკოს დიდი აურ-ზაური აუტეხა: როგორ გაბედეთ, რომ მთელი ხარი ხალხს დაურიგეთ და მე-კი მარტოკა ბეჭი, თავ-ფეხი და ტყავი დამიტოვეთ და სხვა კი არაფერიო?!. ნახევარი ხარი მე უნდა ამეღო, რადგან დღევანდელი კანონიც ამას მაკუთვნებს და ხატის ნებაც ასეთიაო. აბა, თქვე უგნურებო, ახლა ნახავთ თქვენს სეირს, როცა ხატი ასე უკულოთ შემოწირულს არ გიყაბულებსთ და მეორე ხარს მოგთხოვსთო!!.

ამ ამბის დამსწრე-მოწმენი ბევრნი არიან. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაცა ქალებისა
ლაპარაკზე ყურებს ცქვიტავს.
ამისათვის გონიერათ
ვერა საქმეს გადაწყვიტავს.
მე კი ამგვარ გადამასქნულ
ყმაწვილებზე, ასე ვიტყვი:
ხალხის საქმეს ჩამოეხსნას,
მოერიდოს ვით პირ-უტყვი!..

მ. ლელაშვილი.



# გურული სცენა

**ამერიკელები ლანჩხუთში.**

— გამარჯობა ირაკლი! ასე მალე მეიარე კაცო ამერიკა?

— ყბას ნუ მიქცევ ჩემი ძამიეი, რას მეყაშმიერები, მე რაღა ხანჭკისმორება მინდა!?

— რა იყო შე კაცო, რავა ნაჯინჭვლი დათვივით ხარ გაკუჭებული?

— რა იყო და დიმიტრაის ამოგდება, მისი დაფსება, მისი დაღუპვა იყო!

— ვინ დიმიტრაი იყო აფხანიკო! რაცხა ჭორათ ქე მითხრეს მარა არ დამიჯერია, ვიფიქრე მოპროტვილია მეთქი, ერთი ძირდადგმულათ მითხარი თუ ძმა ხარ!

— ვინ დიმიტრაი და, ჩვენი დიმიტრაი ბებურაი ცინცაძის შვილი, ლანჩხუთელი ნამამასახლისევი დიმიტრაი უწინ ქურდი და ხუნხუზი რომ იყო იგი და ახლა იმფერი დიმიტრობა დეიჩემა, რომ დიმიტრაი მგელაძე მასთან მონაგონი არაა, დიმიტრაი გელაძე დიმიტრა ცინცაძემ იჩერში ჩააგდო, გააფასა, ჩაარემიზა, ვაი დედა მის რაფერ მოგვატყუა, რაფერი საჯაყი საქმე გვიქნა!!..

— ნუ გადამალირსებ თუ ძმა ხარ, თუ მიჩივი ქე მითხარი თვარა შენზე ჯვარის დასაწერათ არ მცალია!

— რაფერ გითხრა შე კაცო, რა ენა-პირი მოსთქვამს ჩვენ რომ საქმე წაგვკიდა, გაგვცალა სულიან-ხორციანებ... შვიდი, რვაი წელიწადი იქნება დიმიტრაი ამერიკაში წევიდა, საცხა დიდი ცირკიაო, იმაში თამაშობდა—ცხენზე სკიპარჭულას შობოდა, ჩამევიდა ახლა, მარა რა ჩამევიდა, გადიდკაცებული, გაჭკვიანებული ფრანგის კონწოლივით, გრაინცის ენაზე ჩუუკარტიჩკებია მისი ვიზიტნი კვრტიჩკა, დუუწერია ზედ „რუსინ, კაზაკ, კაპიტან დიმიტრი ბებურიჩ ცინცაძეო“. კიდევ კაი გურია რომ არ მოიჯაყა და გურული ვარო არ გაამჟღავნა. მოგვიყარა თავი ვინც ლანჩხუთში პაწეი შეხედულათ კი ვარგოდით და ცხენზე შეჯდომა უნადოთ შეგვეძლო, გვითხრა: წამოდით ჩემთან ამერიკაში და ზაგაკეთებთო, მარა ათი კაცის მეტს ვერ წევიყვანო, დივეტორღეთ ერთი-მეორეს, ვისესხეთ, ვივალეთ და ამ სიკეთიზა ქრთამათ მივეცით ათმა კაცმა ას-ასი მანეთი, მერე თქვა მივიწერე ამერიკაში და ნება მომცეს ოცი კაცი წაგიყვანოთო. კიდევ იშონა ჩვენსავით აბდალაი ათი კაცი, მიიღო კიდევ ათასი მანეთი. ასე ამ რიგად შეიმასქნა ორი ათასი მანათი. უნაგერი აქაური აზიატსკი კაი გაწყობილი უნდა წამეიღოვო. ამით ერთი შვიდი კაცი მუატყუა. ერთს უთხრა, აქედგან რას ათრევ უნაგირს, მე მაქვს იქინეი შენდა და ხუთ თუმნათ მოგცემ, ოღონდ ეს სხვას არ უთხრა და არ მოჰამდუროო. ასე ერთი უნაგირი შვიდი გზობა გაყიდა და შვიდი ხუთი თუმანი შეგვაქუცა. დავყიდეთ თუ რამე გაგვაჩდა, მაგალითად ნიკო ჭყონიამ, პაწე ნიკომ დიდი არ გეგონოს, გაყიდა ორი ძროხა, უღლათ კამბეჩები, ერთი ცხენი, ექვსი ქცევა ტყეი. მე გავყიდე ოდა, საბლი, ხარი, ურემი, ესოფა შვიდობაძემ ძროხა, ხარი, ურემი, სხვა კიდევ დააგირავა, ესე ჯორბენაძე სტრელჩიკი იყო ბათუმში დაკარგა—დიეთხუა ადგილს, გაყიდა ყორიფელი, ისესხა სამასი ტლიკვი მანეთი, ილიკო გიორგაძემ გაყიდა ნემეცკი ძროხა, დღეში თექსმეტ-თექსმეტ ყველს იწველებოდა, მოსე მშვიდოპაძემ მოშალა მთელი საცხოვრებელი, გაყიდა, ცოლი გამომთხოვს ჩააბარა, იასონ ანთაძემ გაყიდა ერთი უღელი მარჩენალი კამბეჩები, სხვა კიდევ ისესხა ორი აბაზის კვალობაზე. ასე ბევრმა დაკარგა მთელი საცხოვრებელი იმ იმედით, რომე აწი გავკეთდებით, თვეში ასოცი მანეთი გვექნებაო. ევედით ქუთაისში, გავაძვირეთ სირმა, გამივეწყვეთ კუბოსავით, დავხარჯეთ სამსამი თუმანი, ევიღეთ ბაშფორთები, გამოვაყვეთ უნაგირები, გამოვემშვიდობეთ ცოლშვილს და გავემგზავრეთ გრაინცაში. სტანციაში დიმიტრიმ გვითხრა, მომეცით თითომ შვიდ-შვიდი თუმანი და ყველაის ბილეთს მე ევიღებ პირდაპიროო. მივართვით. იმან თურმე მარტვაი ბალაჯარამდე ეიღო, აგი რა ვიცოდით, რაფერ გვეფსებოდა თვალი... დუუფშვიტინა პოეზდმა, დუუფშვიტინეთ ჩვენც, შემოვძახეთ ხმა მაღლა ხასანბეგურაი და გავწიეთ. ევედით ბალაჯარაში და ამ რიგათ დიმიტრიანებ შევიქენით ოცდახუთი კაცი. აქანაი ქარ გაგვიშპა საცხა ჩვენი კაპიტანი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მისი ასავალ-დასავალი ვეფერი ვერ გევიგეთ. ხან აღმა ვსტკუცეთ ტელეგრამა, ხან დაღმა, მარა არსად არ გამოჩდა. რაღას ვიზამდით, მოგვენთო ცეცხლი გულზე, ევედით ბაქოში, ვისესხეთ გზის ფული და ცხვირ დაშვებული წამევედით შინ. იქითობას რომ ხასანბეგურას ვმღეროდით, აქეთობას წამუუზარეთ და მეგრული ვაი-დედავ ჩქიმი ბრალი, ჩქიმი ცოდვა ვიმღერეთ: „ჩქიმი ცხენი, ჩქიმი ძროხა, ჩქიმი კამბეჩი, ჩქიმი ვექსილი დასახსნელი, მოჯაყული, მოკიცხული, ვაი საბრალო, საბრალო, სალა გავაპჭყიროთ თვალი!“

— ახია და მართებული, მალადეც დიმიტრა ბიჭო! რაც მოგივა დავითა, ყველა შენი თავითაო, ნამამასახლისარი კაცი რომ გამოსულქისინებული იქნებოდა, აგი რეიზა არ იცოდით. კამბეჩებს და ხარებს, რომ ჩერეზ ტიომნში ტიომნათ მიდიოდით, ვარესი რეიზა არ გიქნათ. ჩემო ძამია, გამდიდრება და მუშაობა ვისაც უნდა, იგი არც უღლის ხარკაძეჩს გაყიდის. კიდევ კაი რომ ამ საალდგომოთ გამოწყობილი დარჩით.

— ??.

პიტნა.

# ეფისკოპოზის სიზმარი.

(გაგრძელება. იხ. „ეშმ. მათრ." № 24.)

(ეფისკოპოზის ძილში სცენა თანდათან დაბნელდება. რამოდენიმე ხნის შემდეგ სცენა მკრთალათ განათდება. ყოველივე, რაც სცენაზე ხდება, არის მხოლოთ ეფისკოპოზის სიზმარი. ერთ კედელთან ლოგინია, შორი-ახლოს მაგიდა სდგას, ზედ სასმელ-საჭმელია. მაგიდასთან ეფისკოპოზი ზის და შორიახლოს ევა უზის. საჭმელს შეექცევიან.

**ევა.** თუ მარხვის ჭამა ცოდვა არის, მაშ შენ რათა სჭამ?

**ეფისკოპოზი.** აქ, ამ ოთახში, შენთან, შენს გვერდით, ჩემო საყვარელო, ცოდვა არ არსებობს. გარდა ამისა მე კუჭი მტკივა და სნეულებს თვითონ უფალმა მისცა მარხვის ჭამის ნება.

**ევა.** (თითს უქნევს.) ჰააი! სიკვდილის გეშინია? გინდა დიდხანს იცოცხლო?

**ეფისკოპოზი.** რა დროსაც უფალსა ნებავს, მაშინ წარვსდგები იმის წინაშე უშიშრათ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ უფალი მეც იქ მომცემს ბინას, სადაცა მართალნი განისვენებენ. ხოლო თუ ჯანმრთელობა მინდა, ისევ ჩემი სამწყსოის საკეთილდღეოთა და საბედნიეროთ.

**ევა.** მე კი არ მინდა სიკვდილი. ათასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო, სიცოცხლე მაინც არ მომბეზრდება.

**ეფისკოპოზი.** ამ ქვეყნიური ცხოვრება ფუჭია და წარმავალი. ცხოვრება იქ არის, იქ! (ხელს მაღლა იშვერს) ტკბილი და დაუსრულებელი.

**ევა.** არ მინდა იქაური ტკბილი და დაუსრულებელი ცხოვრება. მე აქაური მწარე ცხოვრება მირჩევნია.

**ეფისკოპოზი.** მე კი სიხარულით წარვსდგები სიკვდილის წინაშე, როცა კი ჩემი აღსასრული მოვა.

**ევა.** არ დაგენანება თავი?

**ეფისკოპოზი.** არა. ანკი რათ უნდა დამენანოს, როდესაც ვიცი, მრწამს რომ იქ უკეთესი ცხოვრება მომელის!

**ევა.** არც მე დაგენანები?

**ეფისკოპოზი.** (ხელს მოჰხვევს და ჰკოცნის) შენ კი, შენ კი დამენანები, ჩემო საყვარელო! მაგრამ უფალს შევსთხოვ, რომ შენც ჩემთან წამოგიყვანოს.

**ევა.** ძალიან მიყვარხარ, ძალიან, მაგრამ თუ ღმერთი გრწამს, მაგისთანა თხოვნით უფალს ნუ მიმართავ.

**ეფისკოპოზი.** შე ეშმაკო, შენა! მე უფრო მიყვარხარ, ვიდრე შენ. უშენოთ მე ერთს დღესაც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა, შენ კი უჩემოთ გინდა, რომ დარჩე ამ ქვეყანაზე?!

**ევა.** რა ვქნა, შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ სიკვდილი მაინც არ მინდა.

**ეფისკოპოზი.** ის სულიერი კავშირი, რომელიც მე და შენ აქ შევკარით, იქ საიქაოსაც უნდა განვაგრძოთ.

**ევა.** (სიცილით) საიქაოს მე და შენ ერთად ვინ დაგვაყენებს? ისევ სააქაოთი ისარგებლე, თორემ იქ ჩემს თავს შენ არავინ დაგანახვებს.

**ეფისკოპოზი.** რატომ?

**ევა.** იმიტომ, რომ მე ქმარი მყავს საიქაოს და, როცა იქ წავალ, იმისი ვიქნები. გარდა ამისა შენ ეფისკოპოზი ხარ და იქ ქალს ვინ მოუშვებს შენთან!

**ეფისკოპოზი.** ჯერ ერთი, რომ თუ შენმა ქმარმა იქ კრინტი დასძრა, იმდენს მივაყოლებ, რომ ნახევარიც ვერ დასთვალოს! (მუშტებს აიშვერს) მეორე ისა, რომ ეფისკოპოზი მე აქა ვარ, საიქაოს კი წმინდანი ვიქნები. მესამე ისა, რომ იმდენი სამსახური კი მიმიძღვის ეკლესიისა და სარწმუნოების წინაშე, რომ უფალმა ჩემი თხოვნა შეიწყნაროს და ჩვენი სულიერი კავშირი იქაც ისე შეუწყვეტლათ დასტოვოს, როგორც აქ არის.

**ევა.** უფალს რომ გული მოუვიდეს და გაგიწყრეს?

**ეფისკოპოზი.** (ხითხითებს) აი, რა არის ქალის ჭკუა. (იცინის) გამიწყრეს რა, დიაკვანი ვარ თუ? ქეციანი დიაკვანი? მე ეფისკოპოზი ვარ და მაშასადამე არ შეუძლია, რომ გამიწყრეს! გვერდით უნდა მომიჯინოს და ისე მომისმინოს.

**ევა.** შენ კი სამოთხეში იქნები, ვიცი, მაგრამ მე...

**ეფისკოპოზი.** (გააწყვეტინებს) სადა მე ვიქნები, შენც იქ უნდა იყო უსათუოთ.

**ევა.** (სიცილით) წარმოიდგინე, რომ მე ჯოჯოხეთში გამგზავნეს! მაშინ რაღას იზამ?

**ეფისკოპოზი.** ვინ გაბედამს! ჩემის მადლით მე ას ცოდვილს გამოვისყიდი ჯოჯოხეთიდან და შენ ველარ გამოგიხსნი? ეფისკოპოზები რომ უფლის წინაშე წარსდგებიან, მათ შეუძლიათ რამდენიმე წაწყმენდილი გამოიყვანონ ჯოჯოხეთიდან.

**ევა.** (განცვიფრებული) ნუთუ მართლა!

**ეფისკოპოზი.** მააშ! ღმერთი ამის უფლებას გვაძლევს ჩვენ. (გულზე ამაყათ თითს დაიდებს).

**ევა.** მაშ ეფისკოპოზი რომ წაწყმდეს, არ შეიძლება?

**ეფისკოპოზი.** (იცინის) ეფისკოპოზის წაწყმენდა გაგიგონია? ჩვენ მადლის მეტი ამ ქვეყნათ არაფერი მიგვიძღვის.

**ევა.** ნეტავი მეც ეფისკოპოზი ვიყო.

**ეფისკოპოზი.** ქალი ეფისკოპოზი არ შეიძლება.

**ევა.** რატომ არ შეიძლება?

**ეფისკოპოზი.** იმიტომ რომ ევამ ადამი შეაცდინა და ღმერთმა ევა შეაჩვენა. (ღვინოს ისხამს და სვამს) იცი, ევა, დავანებოთ საიქაოზე ლაპარაკს თავი. შენ რა გაწუხებს? მე და შენთვის სამოთხე განმზადებულია. მოდი ერთი კალთაში ჩამიჯექი, შენებურათ ხელი მომხვიე, ტუჩები ტუჩებზე დამა-

კონე და განვამტკიცოთ ჩვენი სულიერი კავშირი. წმინდა ამბორი უფლისაგან არის ნაკურთხი.

**ევა.** წმინდა ამბორი რაღა არის?

**ეფისკოპოზი.** ეფისკოპოზის ამბორი ყოველთვის წმინდა არის. მოდი მომეხვიე, შენ შამოგევლოს სამოთხე თავისი ანგელოზებითა და ჯოჯოხეთი თავისი ეშმაკებით. მოდი, მომეხვიე! (ხელებს გაუშვერს.

**ევა.** (კეკლუცათ) არ მოვალ! (განზე გადიხრება).

**ეფისკოპოზი.** არ მოხვალ და ძალათი მოგიყვან. (მიიწევს).

**ევა.** (წამოხტება და განშორდება) ვერ მიმიყვან ძალათი.

**ეფისკოპოზი.** (წამოდგება) აბა, თუ ვერ მოგიყვან.

**ევა.** (სიცილით გარბის) იცი რა! თუ დამიჭერ, დაგნებდები, თუ არა და არა!

**ეფისკოპოზი.** მაშ კარგი! (გამოუდგება. ევა გარბის სიცილით, ეფისკოპოზი უკან მისდევს და ასე რამდენჯერმე მაგიდას შემოურბენენ. ამდროს კარი გაიღება და შიგ გაჩერდება სიკვდილი ცელით ხელში შავს სუდარაში გახვეული. ევა და ეფისკოპოზი მას ვერ შეამჩნევენ. ბოლოს ეფისკოპოზი დაიჭერს ევას, ჩაიკრავს გულში და დაუწყებს კოცნას. შემდეგ ორივე აიღებენ თავს მაღლა, შეხედავენ სიკვდილს).

**ევა და ეფისკოპოზი.** (სიკვდილის დანახვაზე განცვიფრებისა და შიშის ნიშნათ ორივე ერთათ) ახ! (მუხლები ჩაეკეცებათ და კანკალებენ. შემდეგ დაბლა ლაპარაკობენ)

**ევა.** რა საშინელებაა! ეშმაკია, არა?

**ეფისკოპოზი.** ეშმაკი კი არ არის სიკვდილია, სიკვდილი.

**ევა.** მერე აქ რა უნდა?

**ეფისკოპოზი.** ალბათ შენთან მოვიდა.

**ევა.** ჩემთან რა უნდა? შენს სახლშია და ალბათ შენ გეძებს.

**ეფისკოპოზი.** (თანდათან იკუზება) ჩემთან რა უნდა? ვერა ჰხედავ, რომ შენ მოგჩერებია.

**ევა.** მე კი არა შენ მოგჩერებია, შენ!

**ეფისკოპოზი.** (აქეთ იქით იხედება და თავისთვის) რაღა კარებში გაჩერებულა ეგ ოხერი, იქნება გავასწრებდი როგორმე. (ევას) ევა, შენ გამოემუსაიფე და მე კი მეორე ოთახში გავალ, ჩემი ლოცვის დრო არის ახლა.

**ევა.** არა თუ გინდა შენ გამოემუსაიფე. მე მაგისი მეშინია.

**ეფისკოპოზი.** მაშ იცი რა? უკან ამოგეფარები და ისე მიუახლოვდეთ. (ცდილობს, უკან ამოეფაროს)

**ევა.** (ეწინააღმდეგება) არ შემიძლია, არა. ლამის გული წამივიდეს შიშისაგან.

**ეფისკოპოზი.** ეგ იმის ნიშანია, რომ შენთან მოსულა. (თავისთვის) ლამის მეც გული წამივიდეს. (ეფისკოპოზი თანდათან უკან იწევს მეორე კარებისაკენ მოკუზული. ევას ანაფორაში წაუვლია ხელი და არა შორდება).

**ევა.** არ შემიძლია, არ შემიძლია! მე აქ ვერ დავრჩები!

**ეფისკოპოზი.** ევა, როგორ არა გრცხვენია! ჩემი ლოცვის დრო არის. ვილოცამ და ახლავე გამოვალ.

**ევა.** არ შემიძლია, არა. (ორივე კარებს მიუახლოვდებიან. ეფისკოპოზი ანაფორას გამოჰგლეჯს ევას, კარებს ხელსა ჰკრავს და გავარდნას აპირებს, მაგრამ ევა მოასწრებს და ანაფორაში ხელს ჩაავლებს სიკვდილი ამ დროს დინჯათ წარმოსთქვამს ბრძანების კილოთი „შესდექით“! ეფისკოპოზი და ევა გასწორდებიან).

**ეფისკოპოზი.** შენ გეუბნება ევა.

**ევა.** მე კი არა შენ გეუბნება.

**სიკვდილი.** შესდექით!

**ეფისკოპოზი.** არც ახლა დაიჯერებ, რომ შენ გეუბნება!

**ევა.** მე საიდან მეუბნება? შენ გარბოდი და შენ გეუბნება, შესდექიო.

**ეფისკოპოზი.** აბა მე როდის გავრბოდი ევა, რას ლაპარაკობ? სალოცავათ რომ არ მიშვებ, შენ გეუბნება: შესდექიო. (გატრიალებას აპირებს. სიკვდილი წინ წამოდგამს რამდენიმე ნაბიჯს).

**სიკვდილი.** (ეფისკოპოზს) შესდექი!

**ევა.** არც ახლა დაიჯერებ.

**ეფისკოპოზი.** (აკანკალდება) ვიღუპები, ნამდვილათ ვიღუპები. (სიკვდილს) ყოვლად ძლიერო მეუფეო! თქვენ ამასთან ხართ მოსული (ევაზე უთითებს) და ნება მომეცით, რომ მოვამზადო, აღსარება ვათქმევინო. (ევას) მოემზადე, შვილო, მოემზადე!

**სიკვდილი.** მე ვარ სიკვდილი და არა მეუფე. მე მოვედი შენთან და არა მაგასთან. ასეთია ნება უფლისა.

**ეფისკოპოზი.** (თავს უკრავს სიკვდილს მიუახლოვდება მას) გემორჩილები სიკვდილო, იყავნ ნება უფლისა! გემორჩილები სიკვდილო, იყავნ ნება უფლისა! გემორჩილები სიკვდილო, იყავნ ნება უფლისა! (ცოტა გაცილდება სიკვდილს და დააპირებს ღია კარებში გავარდნას, საიდანაც სიკვდილი შემოვიდა, მაგრამ სივვდილი ცელით გადაუღობავს გზას.)

**სიკვდილი.** უგუნურო! ნებას უფლისას ვერსად წაუხვალ.

**ეფისკოპოზი.** (დაიჩოქებს სიკვდილის წინ) დიდო სიკვდილო! მე ყოველ ჟამსა მზათა ვარ, წარვსდგე წინაშე უფლისა, მაგრამ ჯერ ბევრი რამ დამრჩა ხალხის საკეთილდღეოთ გასაკეთებელი. ამიტომ მადროვეთ. ეს კი (მიუთითებს ევაზე) ერთი გაჭირვებული, ქვრივი-ოხერი ქალია და ჩემ მაგიერათ ეგ წაიყვანეთ.

## შავი ზღვის პირის საავათმყოფოებში!



ალკვეთა ზიანი ფეხისა და ხლოროფორმით საუკუნო მიძინება.

**ევა.** (დაიჩოქებს) დიდო სიკვდილო! მაგის სიტყვებს თქვენ ნუ შეისმენთ და ნუ შესცვლით თქვენს განაჩენს.

**სიკვდილი.** (ევას) დედაკაცო! აღსასრული შენი ჯერ არ მოახლოებულ არს (კარებისაკენ მიუთითებს) წადი! (ევა ადგება, თავს დაუკრავს და მიდის კარებისაკენ.)

**ეფისკოპოზი.** (ევას) ევა! მაგას არ მოველოდი შენგან. ეგ იყო შენი სიყვარული?!

**ევა.** (კარებში შეჩერდება და ეფისკოპოზს ქოქოლას აყრის) აი მეხი კი დაგაყარე! გვირგვინ ნაკურთხ ქმარს არ ჩავყოლივარ სიფლავში და გეგონა, შენ ჩაგყვებოდი? (გადის).

**სიკდილი.** (ეფისკოპოზს) აღსასრული შენი მოახლოებულ არს. მოემზადე!

**ეფისკოპოზი.** (შესთხოვს) ასე უცებ! მონასტრის აშენება მაინც დამაცალე, მონასტრის.

**სიკვდილი.** შენი ტყუილი მღვდლებსაც არა სჯეროდათ. შენ კი გინდა, ღმერთი მოატყუო.

**ეფისკოპოზი.** ოღონდ მადროვე და ფიცს დავდებ, რომ ავაშენებ.

**სიკვდილი.** ნება უფლისა უცვლელია. (სიკვდილი ცელს აქნევს ეფისკოპოზის თავზე; ამ დროს სცენაზე ბნელდება ფარდა ჩამოეშვება)

**ი. გომართელი.**

(**დასასრული იქნება**).

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ „ეშმაკის მათრახის“ **21** ნომერში მოთავსებული წერილის ავტორი (ასკანიდან, მეზობელი) მე არ ვარ.

ყარამან ნინიძე *).

---

*) ყარამან ნინიძე არა თუ ავტორია, ვერც იცნობს ავტორს. რედაქ.

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ბოლქვაძე.**

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

# „შრომა“

გადავიდა მიხაილოვის ქუჩიდან რუსკი ქუჩაზე სომეხთა სასულიერო სემინარიის ახალ შენობაში.

ღებულობს ქართულ და რუსულ საბეჭდავ საქმეებს.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**შრომა**“, რუსკაია ქ. № **3**.